საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

დარჩია მამია დომენტის ძე

დარჩია მამია დომენტის ძე (დ. 2. II. 1929, თბილისი), პედაგოგი. პროფესორი (1985), საქართვ. პედ. საზ-ბის თავ-რე (1993-იდან).

1954 დაამთავრა თსუ-ის ისტ. ფაკ-ტი. იმავე წლიდან მუშაობდა შემდეგ თანამდებობებზე: იყო თსუ-ის კადრების განყ-ბის გამგე (1967–71), პრორექტორი ადმ. დარგში (1971–75), გორის პედ. ინ-ტის პედაგოგიკა-ფსიქოლ. კათედრის გამგე (1976–80), საქართვ. მასწავლებელთა დახელოვნების ცენტრ. ინ-ტის დირექტორი (1981–85), რესპ. განათლების მინისტრის მოადგილე (1985–93).

1993-იდან საქართვ. შინაგან საქმეთა სამინისტროს საზ. აზრის ინ-ტის რექტორი და სამინისტროს კოლეგიის წევრი, ხოლო 1994-იდან საქართვ. მასწავლებელთა დახელოვნების ცენტრ. ინ-ტის პედ. კათედრის პროფესორი.

თხზ.: გაიოზ რექტორი, თბ., 1961; პედაგოგიკის სიტყვათა ლექსიკონი, თბ., 1971 (თანაავტ.); საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტი, თბ., 1987 (თანაავტ.).